

**დავით მაჩაბლის პოეტური სამყარო
(1832 წლის მოვლენების თვითმხილელი და
შეთქმულებაში მონაწილე თამარაშენიდან)
POETIC WORLD OF DAVID MACHABELI
(WITNESS OF 1832 EVENTS AND PARTICIPANT
OF CONSPIRACY FROM TAMARASHENI)**

ალექსანდრე მღებრიშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Aleksandre Mgebrishvili
Gori State Teaching University
Gori, Georgia

ABSTRACT

It is impossible to start a conversation about the literary and cultural traditions of Tskhinvali's region, without mentioning the names of local residents, the Machabelis. Many of them brought fame to their region and promoted already rich and varied traditions of literature. When exploring the creative traditions of an occupied Tskhinvali region, surely, the first who comes to mind is Ivane Machabeli, a journalist, editor, and unique translator of Shakespeare's plays and poems. furthermore, in different periods of time, interesting and efficient works were accomplished by David (the son of Bardzimi Machabeli), Luarsab Machabeli, Svimon Machabeli, Vasil Machabeli, and so on. Along with others, from the second half of the 19th century, Alexandre, the son of David Machabeli had done interesting works.

This time, while discussing literary and cultural areas of the Tskhinvali Region, our attention is focused on David, the son of Bardzim Machabeli, and on his greatest accomplishments and his poetic world. He was born in Tamarasheni village in 1814. After being homeschooled at an elementary level, his parents enrolled him in the Tbilisi Gymnasium. Then, the Georgian press indicated his success as a student and the fact, that he was chosen as the best student at the school for nobles. (Tiflisi's Vedomosti 1829: 1) While studying in the gymnasium, David Machabeli became friends with Nikoloz Baratashvili and Mikheil Tumanishvili. During his studies in the gymnasium, he as a student of Solomon Dodashvili (a famous public figure of the first half of the 19th century), lived in an apartment owned by Efrem Aleksi-Meskhishvili.

In 1834, after finishing his studies at the gymnasium, David Machabeli started a job as a simple servant of the Tbilisi government. He also tried his luck in the military service, however, in 1839, due to his father's death, he returned to his native village

Tamarasheni.

He had a troubled marriage with Svimon Tsereteli's daughter, Elisabed. From this marriage, David Machabeli had a son, Abesalom, who later studied and worked in Kutaisi. Sadly, soon after his marriage, the poet forever separated himself from his wife and son, and lived alone in his native village.

David Machabeli's works are extremely interesting and unique. Without any hesitation, one could say that he played a crucial role in the development of the regional cultural and literary life.

საკვანძო სიტყვები: ქართული პოეზია, 1832 წლის შეთქმულება, ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, დავით მაჩაბელი.

Keywords: Georgian poetry, the conspiracy of 1832, the occupation of the Tskhinvali region, David Machabeli.

დავით მაჩაბლის სამწერლო დებიუტი შედგა 1832 წელს სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით გამოცემულ მეორე ქართული გაზეთის – „ტფილისის უწყებანის“¹ ლიტერატურული დამატების და იმავდროულად პირველი ქართული ჟურნალის – „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“² ფურცლებზე. ამ გამოცემის მეოთხე ნომერმა უმასპინძლა ლექსს „თოვლი“, რომელიც შეფასებული იყო ხმად ხალხის პოეტური საგანძურად.

ლექსში აღწერილია ზამთრისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენები. ზამთრის, როგორც მკაცრი მზრანებლის, მრისხანე ბუნება, თუმცა თხრობის განვითარების კვალდაკვალ ნათლად შეიგრძნობა პროტესტი უსამართლობის, ძალმომრეობის, უთანასწორობისა და მჩაგვრელობითი ბუნების წინააღმდეგ.

„დ. მაჩაბელი ქართულ პრესას შემოჰყვა პოეზიაში, ის აღმოაჩინა და გზა დაულოცა ჟურნალმა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ და მისმა რედაქტორმა. შეთქმულების მზადების დროს, თავის ოჯახში გამართულ ვახშამზე, სოლ. დოდაშვილმა ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს, ელიზბარ და გიორგი ერისთავებს, ანტონ აფხაზს და სხვ. წაუკითხა თბილისის გიმნაზიის მოწაფის დავით მაჩაბლის ლექსი „თოვლი“, რომელიც იმავე წელს დაბეჭდა თავის ჟურნალში ხელმოწერით: „თბილისის ღიმნაზიის მოწაფე დ. მა...“ გამამხნეველები შესავლით“ (კალანდაძე 1977: 198).

ავტორის პირველი ტექსტი ალეგორიული ხასიათისა გახლდათ (ქართული მწერლობა 1984: 350), ამხელდა არსებულ სოციალურ

¹ „ტფილისის უწყებანი“ - ქართული ყოველკვირეული გაზეთი. მთავრობის ოფიციალური ორგანო „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ (რუსული გაზ.) პარალელური გამოცემა. გამოდიოდა თბილისში 1828-1832 წლებში. რედაქტორი - სოლომონ დოდაშვილი.

² „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ - გაზეთ „ტფილისის უწყებანი“ ორკვირეული სალიტერატურო დამატება. გამოდიოდა 1832 წელს, თბილისში, რედაქტორი - სოლომონ დოდაშვილი. ჟურნალის გამოცემა შეწყდა 1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების გამო.

უთანასწორობას და 1832 წლის შეთქმულების მესვეურთა მისწრაფებების ანარეკლს წარმოადგენდა. მაჩაბლის „თოვლის“ შეთქმულთა შორის პოპულარობაზე მიუთითებდა ი. ბოცვაძე (ბოცვაძე 1976: 32).

პროფ. ნ. ტაბიძე ფიქრობდა, რომ „სალიტერატურონი ნაწილის“ რედაქცია გულგრილი არ დარჩენილა ზოგადსაკაცობრიო პრობლემისადმი, გამოყოფდა „თოვლის“ შემდეგ სტრიქონებს:

„ძლიერი მძლავრობს, მას ზედა, ვისოდენ თუ მოეხრევის,
მაღალს სხუას მაღლობს, თანდისთან ზედ მიდის ცაში ერევის,
მუნ ხტისა სწორი არვინ არს: ძალუმს მეტობა მერეის!
ეგრეთ ამ მძლავრსაც სხუა მძლავრობს, სხუა უმეტესი, ერევის,
ფიცხელი თოვლი ცისკროვნებს, ამაყობს სპეტაკობითა
მაგრამ გლახ მისი სილაღე მდაბლდების მყუდროებითა,
მიწანი, მიწად ვიქცევი; სული იცხოვლებს ვისაგან.

თოვლი იცვლების მზისაგან; ჩვენ, კაცნი მხოლოდ ღვთისაგან“

(სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი 1832: 90).

ლექსში წარმოჩენილია ცხოვრების დაუდგრომელი ბრუნვით დასევდიანებული პოეტის განცდა (ტაბიძე 2012: 268). ალ. კალანდაძის მიხედვით, სერიოზულ ინტერესს იწვევს პოეტის სულის სისპეტაკე, შინაგანი გამოსხივება, რომელიც ახალი ლიტერატურული ქროლის ნიმუშია:

„აწ აღირივნენ ფრქუევანი, შაქრის ფერისა ფერფლთანი;
ესე არს ორთქლი ყოველთა: ცხოველთა, ტყეთა, ველთანი,
თოვლად შექმნილნი ყინვითა, ლბილნი, ვით ბურტყლნი ფრთეთანი,
უშაქროდ მშვიდად სცვივიან, ქარში იწყვიან ფეთქვანი.
...სპეტაკადა ჰსჩანს ყოველი: საჭვრეტელთ აღცამძვრელია,
ორთის, ...ჰაერსა სწმენდს სიცივით თეთრად მორთული ველია...“

(კალანდაძე 1977: 199).

დავით მაჩაბლის „თოვლის“ შესახებ სოლ. დოდაშვილი წერდა: „Сочинения ученика Давида Мачабелова, читанные на ужине у князя Антона Абхазова были: сравнение нрав древних времён и всем сочинении выводит краткую историю литературы грузинской и стихи под названием Снег; в оных ничего предосудительного я не заметил!“ (გოცაძე 1954: 203).

ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ (მე-4 და მე-5 ნომრებში) გამოქვეყნდა დ. მაჩაბლის „აღთქმის სარკე. ყრმებრივი უმანკოება“.³ ტექსტი წარმოადგენს რუსული ენიდან თარგმნილ ალეგორიულ-მორალისტური ხასიათის თხზულებას. აქ მოთხრობილია სიმშვიდედაკარგული ახალგაზრდის თავგადასავალი, რომელიც მონანიებით ცდილობს დანაშაულის გამოსყიდვას. ნ. ტაბიძის შეფასებით, ძირითადი საკითხები გადმოცემულია მისტიურ სახეებში, რთული სინტაქსური კონსტრუქციებით, სტილი დახლართული და მწელად გასაგებია (ტაბიძე 2012: 269).

როგორც ჩანს, სოლ. დოდაშვილი იმედის თვალთ უყურებს მის გამორჩეულ მოწაფეს, მომავალ იმედისმომცემ ძალად თვლის და სხვა

³ მასალა დაიბეჭდა ფსევდონიმით „დ. მაჩ.“

ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად მისთვის უმაღლესი განათლების მისაცემად უცხოეთში გასაგზავნ ხარჯებსაც ეძებს.

„ჩვენ წავიკითხეთ მოწაფე მაჩაბელოვის თხზულებანი და ვმსჯელობდით, ვამბობდით შეგვედგინა საზოგადოება, გამოგვეღო ფული, ამ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა. ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი მოწაფეები გაგვეგზავნა უნივერსიტეტში და დაგვენიშნა მათთვის სტიპენდია“ (გოზალიშვილი 1935: 117).⁴

საგულისხმოა, რომ დავით მაჩაბელმა მიხეილ თუმანიშვილთან, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და სხვებთან ერთად შეადგინეს ხელნაწერი ჟურნალი „Цветок Тифлиской гимназии“.⁵ ხელნაწერი ჟურნალის შემდგენლების უმრავლესობა გახლდათ სოლომონ დოდაშვილის ყოფილი მოწაფე, რომლებმაც საკუთარი თხზულებების გვერდით ჟურნალში შეიტანეს თავიანთი პედაგოგის ორი ტექსტი.⁶ ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ სოლომონ დოდაშვილი ამ დროს ხელისუფლებისგან შერისხული და ვიატკაში გადასახლებული გახლავთ, ხოლო ასეთ დროს მისი თხზულებების ჟურნალში მოთავსება მოწაფეთა მხრიდან დიდ გაბედულებასა და სოლ. დოდაშვილთან მათ იდეურ სოლიდარობაზე მიუთითებს.

თ. ჯოლოგუას აზრით, „ლიტერატურული ინტერესების მქონე გიმნაზიელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა მიხეილ თუმანიშვილი“⁷ (1818-1875). აღმანახსა და ჟურნალში შესულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით მაჩაბლის, ლევან მელიქიშვილის⁸, იასე ანდრონიკაშვილის⁹, მირიან

⁴ საგულისხმოა, რომ 1932 წელს დაიბეჭდა ფ. მახარაძის „1832 წლის შეთქმულების მასალების დამუშავების და შესწავლის შესახებ“. ტექსტი გამიზნული იყო გ. გოზალიშვილის ნაშრომის წინასიტყვაობად. ავტორი უარყოფითად აფასებს 1832 წლის შეთქმულებას და რეაქციონურ, მონარქისტულ-თავადაზნაურულ შეთქმულებად მოიხსენიებს (დეტალებისთვის იხ.: მნათობი 1932: 196).

⁵ „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ / «Цветок Тифлиской гимназии» - თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი (რუსულ ენაზე. 1835). რედაქტორ-გამომცემელი - მიხეილ თუმანიშვილი, გამოვიდა სულ ხუთი ნომერი, ჩვენამდე მოაღწია ოთხმა. ჟურნალში აისახა გიმნაზიის მოსწავლეთა პატრიოტული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი განწყობილებანი.

⁶ „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, „მეფობა ირაკლის მეორისა“

⁷ მიხეილ თუმანიშვილი - აქტიურად თანამშრომლობდა ი. კერესელიძის „ცისკრში“. ჟურნალის განყოფილებაში „სხვა და სხვა ამბავი“ ბეჭდავდა ე. წ. „სალაყბო ფურცელს“ მოლაყბეს ფსევდონიმით. იყო ქართული თეატრისა და ჟურნალის აღორძინების ერთ-ერთი ინიციატორი, მონაწილეობდა თბილისის პირველი კერძო ბიბლიოთეკის დაარსებაში.

⁸ ლევან მელიქიშვილი - დაიბადა თბილისში 1817 წელს. მონაწილეობდა ექსპედიციებში (1837-1869) კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ. იყო ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი. 1844 წელს მუშაობდა ნახიჩევანის მაზრის უფროსად. ამავე დროს მეთაურობდა ცალკე ცხენოსან მილიციას. 1845 წელს დაინიშნა მილიციის თბილისის ქვეითთა დრუჟინის მეთაურად. 1854 წელს მისი სარდლობით აიღეს ლუნიხის ციხე, რისთვისაც მას გენერალ-ლეიტენანტის ჩინი მიეკუთვნა. 1863 წელს მიენიჭა კავალერიის გენერლის წოდება.

⁹ იასე იოსების ძე ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) (1798-1863) - თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1850), გენერალ-ადიუტანტი (1852), ქიზიყის უკანასკნელი მოურავი, წმინდა გიორგის სრული კავალერი, სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლდა 1851 წელს გენერალ-ადიუტანტის წოდებით.

ჭყონიასა¹⁰ და სხვათა ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებები, აგრეთვე, შემდგენელ-ავტორთა მასწავლებლის, იმ დროისთვის ვიატკაში გადასახლებული სოლომონ დოდაშვილის ორი თხზულების რუსული თარგმანები“ (ჯოლოგუა 2011: 84).

თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა მოწინავე ნაწილის აქტიური ლიტერატურული და კულტურული საქმიანობა არაერთხელ იქცა ცალკეულ მკვლევართა შეფასების საგნად. ნაშრომში „ქართველი კლასიკოსები“ გიორგი აბზიანიძე საინტერესოდ აფასებს მოწინავე გიმნაზიელების სულიერ კავშირს ქართული ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენლებთან.

მისი აზრით, მოწინავე მოწაფეებში ეროვნული გრძნობის გაღვივებას კიდევ მეტად ადასტურებს ქართული მწერლობის ანთოლოგია, რომელიც თბილისის გიმნაზიის მოსწავლეებს შეუდგენიათ 1833 წელს და რომელშიც ადგილი უპოვია გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, ალექსანდრე ორბელიანის, მიხეილ თუმანიშვილის, დავით მაჩაბლისა და სხვათა ნაწერებს. ამ ავტორთა უმეტესობა კრებულის შედგენის დროს „ავლაბრის ყაზარმებში“¹¹ იყვნენ გამომწყვდეულნი, როგორც 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილენი“ (აბზიანიძე 1950: 60).

ა. მახარაძის მიხედვით, შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ დავით მაჩაბელმა გაიზიარა ბედი იმ ახალგაზრდობისა, რომელიც გიმნაზიაში დარჩა, მაგრამ არსებული პოლიტიკური რეჟიმით უკმაყოფილო იყო და ამ უკმაყოფილებას ზოგჯერ აშკარადაც გამოხატავდა. იმავე პერიოდთან არის დაკავშირებული გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ ხელნაწერი ჟურნალისა და ანთოლოგიის მომზადება. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მიხეილ თუმანიშვილთან ერთად, დავით მაჩაბელიც იყო. მას ამ საქმეში სხვებზე მეტიც უნდა გაეკეთებინა. თუ ნ. ბარათაშვილი და მ. თუმანიშვილი ჯერ კიდევ უცნობი ავტორები იყვნენ, დავით მაჩაბელს ერთგვარი ლიტერატურული სახელი უკვე მოხვეჭილი ჰქონდა. მისი ლექსი „თოვლი“ პირდაპირი გამოძახილია დესპოტიზმისა და კაცთმოძულეობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეებისა. რაღა თქმა უნდა, ასეთი შინაარსის ნაწარმოებები ხელს უწყობდა მგოსნის პოპულარობას მკითხველთა შორის (მახარაძე 1990: 253).

გ. აბზიანიძე მიუთითებს, რომ იმ პერიოდის ახალგაზრდა ლიტერატორების შემოქმედებითი ფერხულის ცენტრს ნ. ბარათაშვილი წარმოადგენს. პოეტის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი¹² წერს: „ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ამხანაგები ნიკოლოზ ბარათაშვილთან. ჩვენი დროის გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ,

¹⁰ მირიან ჭყონია ალექსანდრეს ძე – პოდპორუჩიკი, ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის მეგობარი.

¹¹ 1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ დაპატიმრებული მონაწილენი დატყვევებული ჰყავდათ ავლაბრის სამხედრო ყაზარმებში. ამდენად, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში შეთქმულთა აღმნიშვნელ სახელად დამკვიდრდა ტერმინი „ყაზარმობა“.

¹² კონსტანტინე მამაცაშვილი – არმიის გენერალი, დაიბადა 1818 წელს ქარელის რაიონის სოფელ რუისში. მონაწილეობდა კავკასიაში წარმოებულ ყველა ომში. დაჯილდოებული გახლდათ წმინდა ვლადიმირის II ხარისხის, წმინდა ვლადიმირის III ხარისხის, წმინდა ანას II ხარისხის და წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენებით. ჩართული იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობაში. იყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ერთ-ერთი დამაარსებელი.

სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ“ (აბზიანიძე 1950: 66). ახალგაზრდა ლიტერატორთა ამ წრის წევრები გახლდნენ: გიორგი ერისთავი¹³, მიხ. თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი¹⁴, ვახტანგ ორბელიანი¹⁵, კონსტ. მამაცაშვილი, გრ. რჩეულიშვილი¹⁶, ზაქ. ფალავანდიშვილი¹⁷, ლუკა ისარლიშვილი¹⁸, ალ. ჩიქოვანი, დავით მაჩაბელი და სხვ.

ზაქარია ჭიჭინაძის მიხედვით, დავით მაჩაბელს დიდი გავლენა ჰქონია ნიკოლოზ ბარათაშვილზე. მის ერთგვარ მასწავლებლად მოიხსენიებს და მიუთითებს, რომ ნიკოლოზი ხშირად დადიოდა დავითთან საკუთარი ლექსების წასაკითხად (ჭიჭინაძე 1885: 29).

აღსანიშნავია ერთი საგულისხმო ფაქტი, რომელიც დაფიქსირდა 1844¹⁹ წელს. გორის მაზრაში მცხოვრებ მოღვაწეთა ნაწილს გადაუწყვეტია ჟურნალის გამოცემა. საგანგებოდ პროგრამაც შეუდგენიათ, რომელსაც ეწოდებოდა „გამოცხადება“. მკვლევართა შეფასებით, ეს ტექსტი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ერთ-ერთ ყველაზე ფართო, მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამაა. მოვიტანთ მცირე ამონარიდს ხსენებული ტექსტიდან: „ჟურნალი ანუ ყოველდღიური გამოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისა, გამდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომრეობაში მოყვანებისა. ამისათვის აწცა ჰსურთ რომელთამე გონიერთა ქართველთა, რათა გამოსცენ ესევეთარი ჟურნალი, რომლისთვისაცა განუცხადებენ უპატივცემულებსთ ჰსწავლისა და ბუნების ენის მოყვარულთა გვამთა, რათამცა ამ წინათგანზრახვაში იქონიონ თვითეულმა შეძლებისამებრ თვისი მონაწილეობა.

ჟურნალსა ამას ეწოდების სინათლე. გამოცემა მისი დაიწყების მაისის პირველიდგან მომავლის წლისასა, თვეში გამოვა თვითო

¹³ გიორგი ერისთავი – ქართველი დრამატურგი, პოეტი, თეატრის მოღვაწე. საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას, ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. თანამშრომლობდა პერიოდულ პრესაში. მისი რედაქტორობით 1852-1853 წლებში გამოდიოდა ჟურნალი „ცისკარი“. მისივე თაოსნობით დაარსდა ქართული პროფესიული თეატრი.

¹⁴ დიმიტრი ყიფიანი – 1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ჩუღდევის მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევმა) ქართველი ერი დაწყევლა. ყიფიანმა მას საქართველოს დატოვება მოსთხოვა. ამის გამო თანამდებობიდან გადააყენეს და იმავე წელს სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ვერაგულად მოკლეს. 2007 წელს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის მიერ, ერის წინაშე გაწეული უდიდიდესი ღვაწლის გამო, დიმიტრი ყიფიანი წმინდანად შერაცხეს.

¹⁵ ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანი – დაიბადა 1812 წელს. ერეკლე II ასულის თეკლე ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი. იყო 1932 წლის შეთქმულების მონაწილე. 1860 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

¹⁶ გრიგოლ რჩეულიშვილი – დაიბადა 1820 წელს. მწერალი, პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი. მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთ ფუძემდებელი.

¹⁷ ზაქარია ფალავანდიშვილი – დაიბადა თბილისში 1818 წელს. სწავლობდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. 1841 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. თანამშრომლობდა გაზეთ „ზაკავკასკი ვესტნიკის“ რედაქციაში.

¹⁸ ლუკა ისარლიშვილი (ისარლოვი) (1817-1893) – რუსეთის იმპერიის მოხელე და ქართული პრესის ცენზორი.

¹⁹ „გამოცხადების“ ტექსტს 1844 წლით ათარიღებს მ. ბერმნიშვილი.

წიგნი, რომელშიაც იქნებიან უცხო ენათაგან თარგმნილნი უკეთესნი მუხლნი ყოველთა საგანთათვის, ესე იგი: სამხედროთა და სამოქალაქო ზნეთათვის, ვაჭრობისათვის, წყაროებისათვის გამდიდრებისა, შინაურთა ეკონომიათათვის და მმართველობისათვის ყმათა და მამულთა აწინდელთა კანონთა და ჩვეულებათათვის, რომელნიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში; აგრეთვე იქმნებიან ქართველთა ჩვეულებანი, ზნენი და თვისებანი; ქართლის ცხოვრებიდან გამოკრებილნი ნაწყვეტნი და ქართული ლიტერატურა (აღმკობილი პროზა), სტიხნი და ღარმონიათა ნოტნი; სამუსიკოთა ხმათა და საეკლესიოთა საგალობელთა, მეტოდა (მოდღვრება) სხვადასხვა სწავლათა და ხელოვნებათა, ზეგარდავლით რაოდენიმე ცნობანი ევროპიული სხვადასხვა სამეფოთა სამხედროთა ხელოვნებათა და სწავლათა, აგრეთვე ხელოვნებათა სამუსიკოთა, მხატვრობათა, მხაზველობათა და გამოქანდაკებათა და სხვათა...“²⁰

გარდა იმისა, რომ ჟურნალის დაარსების ინიციატორთა ჯგუფი გარკვეულ იდეურ ნათესაურ კავშირშია 1832 წლის შეთქმულების მესვეურთა საგანმანათლებლო და კულტურულ მისწრაფებებთან, „გამოცხადების“ ტექსტი კიდევ არაერთი კუთხით არის საინტერესო. ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველად აქ გაჩნდა იდეა ე. წ. ჟურნალისტური ამხანაგობის შექმნის შესახებ. გაერთიანება დაკომპლექტდებოდა წევრთა და ნამდვილ წევრთაგან. ამ უკანასკნელთ ფართო განათლებისა და ევროპულ ენათა ცოდნის გარდა მოეთხოვებოდათ მომავალი ჟურნალის ლიტერატურული მასალით უზრუნველყოფა, მის გავრცელებაზე ზრუნვა და მისთ.

ასევე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველად „გამოცხადების“ ტექსტით ასპარეზზე გამოდიან ჟურნალისტური საქმიანობით გატაცებული ქართველი ქალები.

„გამოცხადების“ შემქმნელი საინიციატივო ჯგუფის შუაგულში ტრიალებდა დავით მაჩაბელიც.

დ. მაჩაბელთან ერთად „გამოცხადების“ ტექსტს ხელს აწერდა 27 პირი. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც სხვადასხვა დროს გარკვეული ღვაწლი დასდეს ქვეყნის კულტურულ, საგანმანათლებლო, პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ განვითარებას. ხელისმომწერთა შორის იყვნენ: გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ერისთავი, ელიზბარ ერისთავი, დიმიტრი ერისთავი, მიხეილ მაჩაბელი, დიმიტრი მაღალაშვილი, გივი ამილახვარი, ელისაბედ ჯავახიშვილი და ა.შ.

სამწუხაროდ, „გამოცხადების“ ტექსტით განზრახული ჟურნალ „სინათლის“ გამოცემის ორგანიზება ვერ მოხერხდა და საზოგადოება უაღრესად კეთილშობილური ჩანაფიქრის, ეროვნული მასშტაბისა და მნიშვნელობის პროექტის გარეშე დარჩა.

დავით მაჩაბლის აქტიურ სამოღვაწეო ასპარეზზე მიუთითებს მარი ბროსესადმი მიწერილი პლატონ იოსელიანის ერთი პირადი წერილი, რომელიც 1841 წლის 14 მარტს თბილისში დაიწერა:

„უფ. ბროსე

მოწყალევე ხელმწიფე!

აგერ ორიც მომივიდა თქუჴნი წერილი, ო~ლთა ზედაცა დამავიწყდა

²⁰ სრული ტექსტი იხ.: კვალი 1896.

პასუხის მოწერა ბევრთა მწუხარებათა გამო. გამოგზავნილნი წერილნი ჩუბინოვისა სახელზედ და ფალავანდოვისა დროზედ მივუტანე. დ. მაჩაბლისა მაქუს ჯერეთ შენახული: დღე და დღე ველი თფილისში მოსულასა რომ მივცე. აგერ ორი თთუჲ არის რაც სოფელში იმყოფება...” (გიგაშვილი 2019: 75)

დ. მაჩაბელი სისტემატურად თანამშრომლობს მის თანამედროვე პერიოდულ პრესაში. მისი პოეტური ნიმუშები, რომლებშიც ლირიკულ განწყობილებებთან ერთად შეიმჩნევა კლასიციზტური ლიტერატურის თავისებურებანი, იბეჭდება როგორც გიორგი ერისთავის, ისე, მოგვიანებით, ივანე კერესელიძის „ცისკარში“.²¹ ვგულისხმობთ ლექსებს: „ვარდი“ (ცისკარი 1852), „ქართლოს“ (ცისკარი 1857გ: 8), „ფილონისადმი“ (ცისკარი 1864გ: 138), „ჩემი ლოცუა“ (ცისკარი 1857ბ: 3), „დიდი პარასკევი“ (ცისკარი 1859: 14) და ა. შ.

გარდა ხსენებული პოეტური ნიმუშებისა, დ. მაჩაბელს ეკუთვნის ისტორიული პოემა „მთიული“²², მაგრამ მაინც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ გამოქვეყნებული დაუსრულებელი თხზულება „ქართულთა ზნეობა, I, გალობა“ (ცისკარი 1864ა), რომელშიც განხილულია ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის მრავალხმიანობის პრობლემები.

მსჯელობა იწყება ზოგადი მიმოხილვით. ავტორი გვთავაზობს სიმღერის საერთო დახასიათებას. საუბარი ეხება ქართული მუსიკის ისტორიის ისეთ დეტალებს, რომელთა ცოდნა ამ მიმართულებით მაჩაბლის ღრმა განსწავლულობაზე მიუთითებს. ქართული გალობის განვითარების ეტაპების ვრცელ მიმოხილვასთან ერთად წინა პლანზეა წამოწეული აღნიშნული საკითხებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გაძლიერების, ასევე, ხალხური მუსიკალური ნიმუშების შეგროვებისა და შესწავლის მიზნით წარმოებული საქმიანობის პერიპეტიები. „ქართველთა ზნეობა“ შეიძლება შეფასდეს როგორც საყურადღებო შრომა ქართული მუსიკის თეორიის ისტორიიდან. აღნიშნულ ნაშრომს „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითად საკითხებში“ იყენებდა და ანგარიშს უწევდა პროფ. ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1938: 8).

„საზოგადოდ გალობა არის სასიამოვნო ხმა კაცისა, გამომხატველი ღუთის დიდებისა, მიმოხრილი სხუა და სხუას კანონიერს კილოდ და შეწყობილი რაოდენთამე მსგავსთავე ხმათა თანა, რომელთაგან წარმოსდგების ღარმონია, განმანათლებელი გულისა და გონებისა და კაცისა ჰაზრით ღუთისადმი აღმამაღლებელი.

ქუჲყანაზედ გაჩნდა გალობა მაშინ, ოდეს ბუნებამან აღსძრა კაცი, რათა ჟამსა მომეტებულის სიხარულისა, ანუ მწუხარებისა, სასიხარულოს ანუ სამწუხაროს ხმით ტურფად გამოეხატნა დიდება ღუთისა, დამბადებლისა

²¹ „ცისკარი“ - ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა 1852-1853 წლებში, როგორც „ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი“ და 1857-1875 წლებში, როგორც „ქართული სალიტერატურო ჟურნალი“. 1852-1853 წლებში „ცისკარს“ ხელმძღვანელობდა გიორგი ერისთავი, ხოლო 1857-1875 წლებში – ივანე კერესელიძე.

²² დ. მაჩაბლის მეორე პოემის „აღება ადღერისა“ შესახებ იხ.: თ. ჭყონია, დავით მაჩაბლის უცნობი პოემა (ლიტერატურა და ხელოვნება 1947).

და მზრდელისა მისისა; და ოდეს აღმოსჩნდნენ ქვწყანაზედ კაცთა საზოგადოებანი, მაშინ, აღმსობაცა ესე კაცისა ცად მიმართ, სხუათა კაცის სისრულესთან კაცის მოგონებითა და მეცადინეობითა მოვიდა ხარისხეულად სისრულეში და წარმოსდგადარმონია, განმათავისუფლებელი და დამატკბობელი გულისა და გონებისა“ (მაჩაბელი 1864: 49).

დ. მაჩაბელი მიმოიხილავს გალობის ისტორიას, ქართული გალობის ფესვებს ბერძნული და იტალიური სამუსიკო ხელოვნების წიაღში ეძებს და მის შემადგენელ ხმათა გარკვეულ კლასიფიკაციას გვთავაზობს. მისი აზრით, ქართული გალობის ხმათა შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება: ა) ღიღინი (საერო შესაქცევი სიმღერა), ბ) მგოსნობა (სამიჯნურო საერო სიმღერა), გ) ოროველო, ანუ მეურმული, დ) ზარი (სამგლოვიარო სიმღერა), ე) ხეური (სამამაცო სიმღერა).

„ქართული გალობა არის საშუალო ბერძნულისა და იტალიანურის გალობათა; რაოდენიმე საგონებელია, რომელ ქართულწლთა, პირველსავე ქრისტიანობაში, შემამღებთა კონსტანტინოპოლით, ერთად, ქრისტიანობისათვის სარწმუნოებასთან, გალობისაცა. განუვითარებიათ იგი თავეთს საკუთარს გემოზედ, შეჰქმნიათ ჩუჭულებად და გარდაქცევით ერთს უმთავრესს ზნეობად; შეიძლება ვსთქუათცა, რომლისა არის საკუთარი ქართული გალობა მოყუანილი დიდსა სისრულეში. - ჟამსა ქრისტიანობის ყუავილოვნებისას, საქართულწლოში, რაოდენიმე ათასნი ღუთივგაბრძობილნი მამანი, შეკრებილნი და შემონოზნებულნი მონასტრებში, დაფუძნებულთა - წმიდათა ცამეტთა მამათაგან, ასურეთით მოსულთა, რომელთაცა დიდის ღუაწლით უღუაწნიათ საქართულწლოს კეთილმდგომარეობა, არ დაუტევებდნენ გალობასაც, არ მოეყუანათ დიდსა სისრულეში“ (მაჩაბელი 1864: 49).

ავტორს წინა პლანზე გამოაქვს ქართული პოლიფონიის ექვსხმიანი ჟღერადობის განსაკუთრებულობის საკითხი. მისი თქმით, ქართულ გალობას შეადგენენ: ა) თქმა, ბ) მაღალი ბანი, ანუ მოძახილი, გ) ბანი, დ) დვრინი, ე) ზილი და ვ) კრინი. იქვე ავტორი დასძენს, რომ მის თანამედროვე საქართველოში სიმღერა ძირითადად სამ ხმაში სრულდება (თქმად, მოძახილად და ბანად), რასაც ძირითადად განაპირობებს სრული ხმით მგალობელთა ნაკლებობა და სამი უკანასკნელი ხმის შეწყობის სირთულე.

ცალკე უნდა აღინიშნოს დავით მაჩაბლის ჩართულობა 1832 წლის შეთქმულებაში. რუსეთის ცარიზმის მიერ საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შექმნილი მძიმე სოციალური ფონის შედეგია XIX საუკუნის 30-იანი წლების მოძრაობა, რომელმაც გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ისტორიაში. თუმცა, როგორც ირკვევა, მას კარგა ხნის მზადება უსწრებდა წინ. „1826 წლის 20 დეკემბერს სოლომონ დოდაშვილის მიერ პეტერბურგიდან ფილადელფოს კიკნაძისადმი ნიჭნი ნოვგოროდში მიწერილ წერილში სხვათა შორის ვკითხულობთ: „...და მსურდა თქვენი მყოფობა ამის მიზეზისათვის საქართულწლოსა შინა, არა შესახებლად მისსა, სადაც მე მაწესებენ, არამედ სხუად ზმნობა არს სარგებლად მამულისა.“ შეთქმულების მასალებიდან ირკვევა, რომ 1826-27 წლებში საკმაოდ დიდი მოსამზადებელი მუშაობა ყოფილა წარმოებული, რის შედეგადაც 1828 წელს

შეთქმულთა მუშაობა უკვე ორგანიზაციულ სახეს იღებს“ (გოზალიშვილი 1932: 200).

1801 წლის მანიფესტის შემდეგ უამრავ გულგატეხილ ქართველს შორის გამოირჩეოდა მგზნებარე მამულიშვილთა ნაწილი, რომელიც ყოველგვარად ცდილობდა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას. ნათქვამის დასტურს წარმოადგენს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისეთი ფართომასშტაბიანი გამოსვლების წყება, როგორიც იყო 1802, 1804, 1812, 1820 წლების შეიარაღებული საპროტესტო გამოსვლები.

ქართული სამეფო სახლის წარმომადგენელთა შორის მალევე გაიფანტა გეორგიევსკის ტრაქტატით შექმნილი ილუზიები და გაჩნდა დაუოკებელი წყურვილი საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისა.

XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების გვერდით ეწაფება განათლებას. ისინი გარკვეულწილად თვითმხილველნი ხდებიან რუსეთის რევოლუციური ცხოვრებისა, რაც უდიდეს გავლენას ახდენს მათ ცნობიერებაზე. ამის ერთგვარი გამოძახილიც გახლდათ წლების განმავლობაში უკმაყოფილებასა და პროტესტის განცდაში შობილი 1832 წლის მოვლენებიც. შეთქმულება „უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ახალ ისტორიაში. მან დიდი გამოძახილი ჰპოვა იმ დროის ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში. მწერლობაში გამეფდა თავისუფლების მოყვარეობის სულისკვეთება. მართალია, შეთქმულთა დიდი ნაწილის მიზნები მონარქისტულ-კონსტიტუციური პრინციპით იყო განსაზღვრული, მაგრამ მთავარ და ისტორიულად პროგრესულ ძალას წარმოადგენდა მცირე მოწინავე ჯგუფი, რომელიც მაშინდელი დროისთვის პროგრესულ სოციალურ-პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა ქართველი საზოგადოების მოწინავე ფენების ინტერესებს გამოხატავდა“ (ქართული ლიტერატურის ისტორია 1969: 9).

1832 წლის შეთქმულთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ცარიზმის უღლისაგან ქვეყნის გათავისუფლება. მათი უმრავლესობა თავადაზნაურთა კლასის წარმომადგენელი გახლდათ. ბუნებრივია, ისინი ცდილობდნენ არსებული ხელისუფლების მიერ უკიდურესად შევიწროვებული გლეხობის მიმხრობას და ამავდროულად დახმარების ქვეყნის გარედან მიღებასაც.

გ. გოზალიშვილის მიხედვით, ალექსანდრე ორბელიანი ერთ ჩვენებაში ამბობს, რომ ოქროპირ ბატონიშვილი: „მოყვა ესრეთ, აქ ბევრნი კარგნი პატიოსანნი კაცნი არიან, რომ იმათ ენდოთ და კარგს რჩევასაც მოგცემნო, პირველი დიახ ჭკვიანი კაცი არის ჭავჭავაძეო (ალექსანდრე) და განათლებული, და ჩვენის გულისთვისაც ადრე დატყვევებული იყო რუსეთშიო ამისი ნდობა შეიძლებაო... მეორე აქ კიდევ ელიზბარ ერისთავი არისო, ისიც კარგი ჭკვიანი ყმაწვილი კაცი არისო, - მესამე კიდევ სოლომონ დოდაევი ჩვენთვის თავდადებული კაცი არისო, მე ვიცი ისიც იყაბულებსო, აი ესენი ბევრ კაცს იშოვნიან, და მასკვან – წყნარ-წყნარ მოხდება ჩვენი საქმეო...“ (გოზალიშვილი 1932: 203).

შეთქმულთა ცენტრში ტრიალებდნენ: ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი და ბოლოს შემატებული იასე ფალავანდიშვილი.

ქართული ეროვნული მოძრაობა იკვებებოდა იმ იდეებით, რაც გამომდინარეობდა ადგილობრივად შექმნილი ვითარებით, აგრეთვე რუსეთიდან და ევროპიდან მომდინარე შეხედულებებით. მოწინავე ინტელიგენცია უკმაყოფილებას გამოთქვამდა დაწინაურებული კლასის ერთი ნაწილის მიმართ, რომელთაც პირადი კეთილდღეობის გამო დაევიწყებინა ფართო საზოგადოებრივი ინტერესი. ასევე შეთქმულთა შორის არსებობდა რამდენიმე მოსაზრება ქვეყნის მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ 1832 წლის შეთქმულთა საქმიანობაში საქართველოში იმ პერიოდის მოაზროვნე ინტელიგენციის უმნიშვნელოვანესი ნაწილის მონაწილეობა იკვეთება, თანაც იგი მზადდება არა ერთი წლის მანძილზე, მაინც მეფის რუსეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშეშემდგომ საბოლოო წერტილი დაესვა ამ განზრახვისთვის. სიმძიმის ცენტრის გარკვეულ პირებზე გადატანის გზით ადგილობრივი ხელისუფლება ერთგვარ ლოიალურობასაც კი იჩენდა ცალკეული, რიგითი შეთქმულების მიმართ და მათ ერთგვარი „რეაბილიტაციის“ საშუალებასაც აძლევდა.

ნათქვამის დასტურად შესაძლოა ჩერნიშოვის²³ მიერ ბარონი როზენისადმი²⁴ მიწერილი ბარათის ერთი ნაწილის დამოწმება: „Между темъ Г.И. въ особенности пріятно было видѣть удостовѣреніе ваше, что Грузинское дворянство вообще не причастно къ зловреднымъ замысламъ обнаруженныхъ посреди онаго преступниковъ и, пребывая въ должной покорности къ правительству, усердно исполняетъ возложенныя на оное обязанности. По благоденіямъ, коими издавна пользуется Грузія со стороны Россіи, въ новейшія времена еще въ большей мере краю сему оказаннымъ, и по собственному безпомощному состоянію онаго, нѣтъ сомнѣнія, что здравомыслящая часть дворянства не можетъ желать никакого измененія въ политическомъ своемъ состояніи и даже искренно должна быть привержена къ Россіи. По сему Е.В. вполне уверенъ, что какъ-бы ни решилось начатое исследование, оно неминуемо окончится къ чести большинства Грузинскаго дворянства. Не менее того, для вящаго утвержденія онаго въ чувствахъ преданности, Г.И. считать изволить не бесполезнымъ воспользоваться нынѣшнимъ общимъ собраніемъ сего

²³ ალექსანდრე ივანის ძე ჩერნიშოვი (1785-1857) – რუსეთის სამხედრო მინისტრი, რუსული არმიისა და დაზვერვის მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი.

²⁴ ბარონი გრიგოლ ვლადიმერის ძე როზენი – რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმართებელი 1831–1837 წლებში. 1809 წლის 28 მარტს შვედეთის ომის დროს, მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის, წმინდა ვლადიმერის მე-3 ხარისხის, წმინდა ანას 1-ელი ხარისხის ორდენებით. ასევე, პრუსიის მეფისგან მიღებული ჰქონდა ორდენი „ღირსებისათვის“, წითელი არწივის 1-ელი ხარისხის და პრუსიის რკინის ჯვრის ორდენები. 1823 წლის 29 აგვისტოს დაჯილდოვდა წმინდა ანას 1-ელი ხარისხის ორდენის აღმასის ნიშნით. 1826 წელს მიენიჭა ინფანტერიის გენერლის წოდება, 1-ელი ქვეითი კორპუსის მეთაურის თანამდებობაზე დანიშნით. 1827 წელს დაჯილდოვდა წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენით და დაინიშნა ლიტვის კორპუსის მეთაურად. 1827-1829 წლების განმავლობაში 6-ჯერ მიიღო მონარქის ქება. 1830 წელს დაჯილდოვდა წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენის აღმასის ნიშნით. 1833 წელს სპარსეთის შაჰისგან მიიღო 1-ელი ხარისხის ლომის და მზის ორდენი. 1834 წელს თურქეთის სულთანისგან დაჯილდოვდა ბრილიანტის ხმლით.

дворянства въ Тифлисе, дабы удостоверить оное чрезъ нарочно посланнаго отъ Е.В. генерала въ постоянномъ Высочайшемъ благоволеніи за верность и усердіе онаго къ Престолу, какъ въ семь случаевъ, такъ и во многихъ другихъ оказанныя“.

(АКАК 1881: 393).²⁵

1832 წლის შეთქმულების სამზადისის ბოლო ფაზაში დავით მაჩაბელი ჯერ კიდევ თბილისის გიმნაზიის მოწაფეა. გიმნაზიელ მეგობართა შორის ის ერთადერთი გახლავთ, რომელიც საკუთარ გარკვეულ კვალს ტოვებს ამ მოძრაობაში.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, მისი ნაწერები პოპულარობით სარგებლობდა შეთქმულთა წრეში. ერთ-ერთ ასეთ თავყრილობაზე ახალგაზრდა პოეტის „თოვლი“ გაახმოვანა სოლომონ დოდაშვილმა. თავისივე ერთ-ერთ ჩვენებაში იგი წერდა: „მე შევიტანე წინადადებები შეგვეგროვებინა შემოწირულობა და ამ შეკრებილი ფულით გვეყიდნა ბიბლიოთეკა, სტამბა და დავხმარებოდით გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეებს. წავიკითხე ქართულად დაწერილი ლექსები, თხზულებები მოწაფე მაჩაბლისა და ვთხოვე იქ შეკრებილთ, ეგების როგორმე იმდენი მოგვეგროვებინა, რომ უნივერსიტეტში გაგვეგზავნა...“ (მახარაძე 1990: 251).

ს. დოდაშვილის გარდა დავით მაჩაბლის სახელი ჩანს ეფრემ ალექსიშვილის ჩვენებაშიც.²⁶ საქმე ეხებოდა ერთ-ერთ შემთხვევას, როდესაც 1832 წელს სოლომონ დოდაშვილს ე. ალექსიშვილის სახლში დავით მაჩაბლისა და ეფრემის შვილის ალექსისთვის დაუტოვებია ქართული ტექსტები კარგი კალიგრაფიით გადასაწერად შემდგომში დაბეჭდვის და გიმნაზიის მოწაფეთა შორის გავრცელების მიზნით.

ე. ალექსიშვილი ამბობდა: „1832 წლის ვჰგონებ სეკდემბერში მოსულიყო უფალი დოდაევი ჩემთან მაშინ, როდესაც მე არ ვიყავ შინ და დაეგდო ქართული პროპისები და ეთქვა თბილისის ღიმნაზიის მოწაფეთა დავით მაჩაბლისა და ჩემის შვილის ალექსისათვის, უთხარით მოძღვარსა დირექტორმა სთხოვა ეს დედნები გარდასწეროს კარგ ხელზედ, უნდა დავაბეჭდვინოთ ღიმნაზიის მოწაფეთათვის. მე მოველ შინ მითხრეს ხსენებულთა მოწაფეთა ესე ამბავი“ (გოზალიშვილი 1935: 291).

დ. მაჩაბელს საკუთარ მემუარებში იხსენიებს დიმიტრი ყიფიანიც²⁷. საუბარია ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის პირველ რიცხვებში (დეკემბრის მარხვის პირველ კვირაში) გამართულ ერთ-ერთ ვახშამზე, რომელზეც ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების, გიორგი ერისთავის, დიმიტრი ყიფიანის და სხვათა გვერდით მიწვეული ყოფილა გიმნაზიის მოწაფე დავით მაჩაბელიც.

მოხმობილი მასალებიდან ჩანს, რომ დავით მაჩაბელი²⁸ ახლოს დგას 1832 წლის შეთქმულთა წრესთან, გარკვეული პირადი წვლილიც შეაქვს შეთქმულთა საქმიანობაში. მცირეწლოვნობის გამო მისი დავალებები

²⁵ მითითებულ ტომში ფართო ადგილი ეთმობა მასალებს 1832 წლის შეთქმულების შესახებ, იხ. გვ. 391-423;

²⁶ ამ ფაქტს ეხება მ. ბერძნიშვილი ნაშრომში: მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისთვის (ბერძნიშვილი 1983: 95).

²⁷ ამ ფაქტს ეხება გ. გოზალიშვილი ნაშრომში – 1832 წლის შეთქმულება (გოზალიშვილი 1935: 291).

²⁸ დავით მაჩაბლის შესახებ იხ.: მღებრიშვილი 1998: 9.

შედარებით მარტივ ხასიათს ატარებდა, ერიდებოდნენ მისთვის სახიფათო დავალებების მიცემას და შეთქმულებასთან მისი კავშირიც ძირითადად მისივე შემოქმედებიდან იკვეთება.

სწორედ მიზეზთა ამ ერთობლიობის გამო შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ მას კონკრეტული სასჯელი არ მიუღია. უფრო მეტიც, გიმნაზიის დასრულების შემდეგ (მცირე ხანს სამოქალაქო უწყებაში მუშაობის შემდეგ) იგი სამხედრო ხაზით იწყებს მოღვაწეობას, აღწევს გარკვეულ წარმატებებსაც. ვგულისხმობთ პოდპორუჩიკის ჩინს, წმინდა სტანისლავის ორდენით დაჯილდოებას, თუმცა ყოველივე ეს ხანმოკლე აღმოჩნდება და მამის გარდაცვალების შემდეგ უბრუნდება მშობლიურ სოფელს.

მ. ბერძნიშვილის აზრით, შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ „მასში გარეული სასიცოცხლო ძალები ცარისტულმა მთავრობამ გააცამტვერა და მიმოფანტა შორეული რუსეთის ცივ ქვეყნებში, რის შედეგად ჩვენი საზოგადო ცხოვრება, ისედაც მოდუნებული, უფრო მეტად მიირულა, თითქმის ჩაკვდა. მაგრამ დეპრესიის (1833-1837) შემდეგ. 1838 წლიდან, კვლავ იწყება ერთგვარი აღმავლობა, წინა წლებში დაუნჯებული ეროვნული ენერგია ისევ იწყებს მიმოქცევას და ახალგაზრდა ძალები, „სოფლისთვის ზრუნვის“ აზრით ამოდრავებულნი, კალმით თუ საქმით ნიადაგს ამზადებენ შემდგომი წინსვლისთვის. მეტად საგულისხმოა: ამ პერიოდში ქართველობას არც თეატრი გააჩნდა და არც ჟურნალი მოეპოვებოდა. ერთიც და მეორეც დაფუძნდება მხოლოდ მიხეილ ვორონცოვის²⁹ მეფისნაცვლობის ჟამს“ (ბერძნიშვილი 1980: 6).

1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ კარგა ხნის მანძილზე დავით მაჩაბელი აღარ ჩანს ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე. 1852 წელს გიორგი ერისთავის „ცისკარში“ ჩნდება მისი პოეტური ქმნილება „ვარდი“, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვედრიან. რედაქცია მადლობას უხდის ავტორს, „რომელმაც განაშვენა ჟურნალი ესე „ცისკარი“, მართლაც განცისკროვნებულისა და ბრწყინვალისა ლექსებით, კვალაც იმედულობს რომელ, სიყვარულისათვის თავისის მშობლიურის ენისა, წარმოგზავნის თვისთა შრომათა“ (ცისკარი 1852).

„ვარდი“ რომანტიკული შინაარსის თხზულებაა, სადაც წარმოდგენილია ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული ბუღბუღი, ვარდი და მათი დამაშორებელი ულმოხელი ძალა ბუნებრივი მოვლენების სახით. ნაწარმოები ხასიათდება საკმაოდ ძლიერი სახეებით, რომელმაც, როგორც ჩანს, გარკვეული პოპულარობა მოიპოვა მკითხველთა შორის. ამ პოპულარობაზე მიუთითებს ივ. კერესელიძის მიერ 1864 წელს „ვარდის“ განმეორებითი დაბეჭდვის ფაქტი, რის შესახებაც იგი წერდა: ეს ლექსი „დაბეჭდილი იყო თავად გიორგი ერისთავისაგან გამოცემულს „ცისკარში“ და ჩვენ ისე მოგვწონს, როგორც სანიმუშო ქმნილება, რომ ჩვენგნით გამოცემულს ჟურნალებშიაც ვბეჭდავთ, რადგან ბევრმაც ისურვა ამისი წაკითხვა. ავტორისაგან ხელმეორედ თვალგადავლებულია და ამ დღეებში მივიღევით ჩვენის თხოვნით“ (ცისკარი 1864ბ).

ასეთივე ფართო გამომხატურება ჰპოვა 1857 წელს გამოქვეყნებულმა ლექსმა „პირველი მაისი“ (ცისკარი 1857ა). ტექსტმა თავიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, დაიმსახურა მოწონება და მისი შეფასება

²⁹ იხ.: Мгебришвили 2015: 556.

გაზეთ „კავკაზის“³⁰ ფურცლებზეც მოხვდა. აი, როგორ შეფასებას აძლევდა ცნობილი კრიტიკოსი ნიკო ბერძენიშვილი „პირველ მაისს“: „თითოეულ სიტყვაში უბრალოება და ბუნებრივობა მოუქცევია. ამისთანა შემთხვევაში არსებული გატაცებისა და აღტაცებულობის კვალიც კი არა ჩანს, ისე, რომ მკითხველი თითქმის მზადაა უსაყვედუროს ავტორს ლექსის ნარნარა, წყნარი მიმდინარეობის გამო, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამას არ ჩაიდენს, როცა მას ყურადღებით და არაერთხელ წაიკითხავს. თუ საჭიროა შედარება, მაშ ჩვენ მზადა ვართ ვაღიაროთ, რომ თავად მაჩაბლის ლექსი გვაგონებს კოლცოვის³¹ ფიქრებსა და ზოგიერთი სიმღერის ხმიანობას“ (ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის 1954: 100).

სოფ. თამარაშენში დაბრუნების შემდეგ დავით მაჩაბელი აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას. თუმცა მისი შემოქმედების პირველი ეტაპისთვის დამახასიათებელი ხალასი ბუნება და „ხალხის წიაღიდან“ მოსული პოეტური ხმა დიდხანს აღარ გაჰყოლია. თანდათან თვალსაჩინოდ უკან იხევს რომანტიკოსი პოეტის ბუნება. ცხადია, ეს არ აკნინებს დ. მაჩაბლის პოეტურ ნიჭს, არამედ მიუთითებს, რომ იგი ბოლომდე რჩება უკვე მოძველებული სტილის – კლასიციზმის გავლენის ქვეშ.

„მის პოეზიას თანდათან ეუფლება ფორმის პედანტურობა, არაემოციურობა, სიმშრალე, რაციონალისტური განმსჯელობა, კანონი-ზირებული აღწერითობა, პასიური ალეგორია. ასეთებია: „პირველი მაისი“, „ჩემი ლოცვა“, „ქართლოს ძუელად“, „ჩემს მინერვას“, „ვარდი“, „ფილონისადმი“, „ალერსი“ და სხვ. ეს ნაწარმოებები მოკლებულია ძლიერ ვნებებს, ფანტაზიას, ორიგინალურ, ინდივიდუალურ მსოფლგანცდას, რომანტიკულ სევდას და უშუალოებას, ამ ლექსებში სამყაროს მოვლენები, ადამიანის ცხოვრება ცივი გონებით, მშრალად, გულის მღელვარების გარეშეა დანახული. მართალია აქა-იქ, გრძნობებზედაცაა ლაპარაკი, მაგრამ ეს არის მსჯელობა და არა უშუალოდ გრძნობა; ლექსი გულის სიღრმიდან კი არაა ამოვარდნილი, არამედ გაკეთებულია ნორმების ზუსტი დაცვით, პედანტურად. ლექსი გულს კი არ ხვდება, განცდათა გათანაზიარებას კი არ იწვევს, არამედ აზრის დამაბვას მოითხოვს. მათში არაფერია აღმოჩენითი ხასიათის, გასაოცარი თავისი მოულოდნელობით, სითამამითა და ორიგინალურობით გამაბრუებელი; არაფერია ისეთი, რასაც ყოველი განათლებული ლიტერატორისაგან არ მოელი; არ ჩანს ძლიერი, შეუპოვარი სული და თავდავიწყებული ვნება. ავტორი ანტიკური ინვენტარით აკეთებს სახეებს, სავალდებულო მხატვრული ხერხებით გამოთქვამს აღიარებული მორალის სავალდებულო ნორმებს, ყველაფერს ხედავს ისე, როგორც საჭიროა დაინახოს“ (კალანდაძე 1977: 200).

დავით მაჩაბელი ტრაგიკულად გარდაიცვალა მშობლიურ სოფელში 1873 წლის 10³² ოქტომბერს. ამ სამწუხარო ამბავს იოსებ ელიოზიშვილი

³⁰ „კავკაზი“ (კავკასია) – ყოველკვირეული გაზეთი 1846-1851 წლებში, კვირაში ორჯერ გამოიცემოდა 1852-1867 წლებში, კვირაში სამჯერ-1868-1876 წლებში, ხოლო 1877-1918 წლებში გახდა ყოველდღიური გამოცემა. გამოდიოდა თბილისში რუსულ ენაზე. კავკასიაში გამოცემული ერთ-ერთი ყველაზე ძველი რუსული გაზეთი, გამოიცემოდა 1846 წლიდან 1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე.

³¹ ალექსეი ვასილის ძე კოლცოვი (1809 - 1842), რუსი პოეტი; ამავე დროს „კოლცოვის“ ფსევდონიმს იყენებდა ცნობილი უკრაინელი პოეტი ტარას შევჩენკო (1814–1861).

³² თარიღი აღებულია ჟურნალ „ცისკარში“ (1873, #9) გამოქვეყნებული მასალიდან. გაზ.

ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებიდან აცნობებდა მკითხველს: „ეს დავით მაჩაბელი რუსულს ენაზედ კარგად მცოდინარე და ქართულისა პოეტი, ლექსთ თხზულებანი მისნი სასიამოვნო და გემოვანნი და შეწყობილნი, კარგის ხელოვნებითა, რომელთაგანნი მრავალნი არიან დაბეჭდილნი ჟურნალს „ცისკარში“ სახელდობრ: ვარდი, ჩემი ლოცვა, ქართლო და სხვანი.

დავითსა ჰქონდა ჩვეულება, სადაც იქნებოდა, თამარაშენს, გორს, თუ ტფილისსა, შინიდან კარზე არ გავიდოდა, ვისაც უნდა დაეპატიჟნა ძნელად წავიდოდა, მაგრამ იმის ანდამატურს მიმზიდველობას არ აკლდნენ, თითონ მოდიოდნენ, მუდამ გარს ეხვივნენ, დიდნი თუ მცირე პირნი, იგი იყო ჰკვიანი, თითქო ძველისა და ახლისა ყოვლისა ისტორიისა და საგნისა გამომრკვეველ მცოდინარე, ერთის სიტყვით იყო განათლებული გუამი.

ამისი გამოთქმა იყო მარადის ტკბილი, ზრდილობიანი, ბაასობაში თუ ხუმრობაში მოლაპარაკეს უკეთუ შეამჩნევდა, რომ იმაში ურევია რაიმე უზრდელი სიტყვები, ყურს მოარიდებდა, არ გაეგონა, ანუ ანიშნებდა არდა გაეგრძელებინა, თუ ვერ დააჩუმებდა ვერ მოითმენდა უთუოთ უსიამოვნებას შეამთხვევდა, მაგრამ ერთს ან ორს საათს უკან, რაც უნდა ნაჩხუბნი ყოფილიყო და რაც უნდა ზარალი მისცემოდა იმ კაცისაგან, შინაურისა თუნდა გარეულისაგან მაინც თუ მოვიდოდა ანუ შემთხვევით როგორმე ნახამდა, კიდეც ისე ჩვეულებრივის ალერსით მიიღებდა და არ მოაგონებდა არას დროს თუ იმისგან ეწყინა რამე, ეს ჰქონდა მუდმივ განთვისებულის კეთილოვნებითა და არა სხვებრ, თავადს მაჩაბელს ჰქონდა, დიდ კაცური მიმღეობა, გაცემ-გამოცემა, სიუხვე სიმსრავლე, იმისი ხელი არ დასცხრებოდა ქვრივ ობოლთა, სამღვდელოთა, საწყალთა, უქონელთა და გაჭირვებულთა ძლევითა, გაჭირვებულის შემწეობისთვის თვითცა შეიჭირვებდა და ნუგეშიერის სიტყვითა და საჩუქრითა მწუხარებას განუქარვებდა.

ამასთანავე იყო მშვიდი, წყნარი, სამაგალითო კეთილი და კეთილის მოქმედი, ავი საქმისგან განშორებული, გარდამეტებული მღჭთის მოყვარე, დილასა და საღამოს გრძელს ხანს მლოცველი“ (ელიოზიშვილი 1873: 104).

იგივე „ცისკარი“ იმავე წლის სხვა ნომრის ფურცლებიდანაც გამოემშვიდობა დავით მაჩაბელს. რედაქციისგან მინაწერში გარდაცვლილი ცნობილ ქართველ პოეტად არის მოხსენიებული, რომლის ტრაგიკული აღსასრულითაც ჩვენმა ეროვნულმა ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა:

„ამ ოკტომბრის თვეში, მივიღეთ, გორითგან, სოფლის თამარაშენითგან სამწუხარო და გულისშესამჟვალავი ცნობა. 10 რიცხვში ამავე თვეს, ავაზაკებს საშინელის ტანჯვით მიუციათ სიკუდილისათვის, ყოველთგან მცნობი, ქართველი პოეტი თ. დავით მაჩაბელი. რომელსაცა წაუკითხავს იმ განსვენებულის ლექსი „ვარდი“ ისინი დააფასებენ, თუ რა მწერალი იყო და რა ძვირფასი დანაკარგი დაკარგა ჩვენმა ლიტერატურამ. როგორც ვიცით, ბევრი კარგი რამ თხზულება დარჩენია ნეტარ ხსენებულსა“ (ცისკარი 1873ა: 70).

„დროების“ (1873, #44) მიხედვით, გარდაცვალების თარიღია 1873 წლის 8 ოქტომბერი.

დ. მაჩაბლის გარდაცვალების ფაქტს გამოეხმაურა სერგეი მესხის „დროება“.³³ გაზეთი მკითხველს აუწყებს „ერთი უჩინარი ქართველი მოშაირის“, ავანაკების ხელით მოკლული პოეტის შესახებ.

„დროების“ შეფასებით, „განსვენებული ბეჭდავდა თავის ლექსებს „ცისკარში“. ლექსები ზოგიერთნი სწორეთ მოსაწონნი არიან და გვაჩვენებენ, რომ თ. დავით პოეტური გრძნობით ნიჭებული ყოფილა“ (დროება 1873: 2).

ამგვარად, დ. მაჩაბელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის ცხინვალის მხარის სამწერლო-შემოქმედებით ასპარეზზე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბზიანიძე 1950: აბზიანიძე გ., ქართველი კლასიკოსები. თბილისი, 1950.

ბერძნიშვილი 1980: ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისთვის. ტ. I, თბილისი, 1980.

ბოცვაძე 1976: ბოცვაძე ი., პრესა და მწერლობა. თბილისი, 1976.

გიგაშვილი 2019: ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობა (პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე). ტ. I. ტომის რედაქტორი ქ. გიგაშვილი. თბილისი, 2019.

გოზალიშვილი 1932: გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება. ჟურნალი „მნათობი“. #10-12. 1932.

გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი გ., 1832 წ. შეთქმულება. ტ. I, თბილისი, 1935.

გოცაძე 1954: გოცაძე მ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I, თბილისი, 1954.

დროება 1873: გაზეთი „დროება“. #44. 1873.

ელიოზიშვილი 1873: ელიოზიშვილი ი. (იოსებ ელიოზოვი), სამწუხარო ანბავი, ჟურნალი „ცისკარი“, №9, 1873.

კალანდაძე 1977: კალანდაძე ალ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (1819-1853). I, თბილისი, 1977.

კვალი 1896: გაზეთი „კვალი“. 1896, №35.

ლიტერატურა და ხელოვნება 1947: გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“. №25. 1947.

მასალები... 1983: მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისთვის. ტ. II, თბილისი, 1983.

მაჩაბელი 1864: მაჩაბელი დ., ქართულშოთა ზნეობა. I. გალობა. ჟურნალი „ცისკარი“. №5. 1864.

მახარაძე 1990: მახარაძე ა., ქართული რომანტიზმი. თბილისი, 1990.

მნათობი 1932: ჟურნალი „მნათობი“. №10-12. 1932.

³³ გაზეთი „დროება“ – გამოდიოდა 1866-1885 წლებში. გაზეთი 1866-1874 წლებში ყოველკვირულად გამოდიოდა, 1875-1876 – კვირაში სამჯერ, 1877-1885 – ყოველდღიურად. გაზეთის რედაქტორები სხვადასხვა წლებში იყვნენ: გიორგი წერეთელი (1866-1869, 10 აპრ.); ს. მესხი (1869, 11 აპრ. – 1873); კ. ლორთქიფანიძე (1873, 8 ოქტ. – 1874, 3 ოქტ.); ს. მესხი (1874, 4 ოქტ. – 1880); ილია ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880-1881); ს. მესხი (1882); ივ. მაჩაბელი (1883-1885). გაზეთის გამომცემლები იყვნენ: სტ. მელიქიშვილი და ამხანაგობა (1866-1883), გიორგი ქართველიშვილი (1883-1885) / 1873 წელს რედაქტორის მოვალეობას დროებით ასრულებს კ. ლორთქიფანიძე.

მღებრიშვილი 1998: მღებრიშვილი ალ., 1832 წლის შეთქმულება და ჩვენი მხარე. გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი“, №4 (23). 1998.

სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი 1832: ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. №4, 1832.

ტაბიძე 2012: ტაბიძე ნ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I, თბილისი, 2012.

ტიფლისის ვედომოსტები 1829: გაზეთი „ტიფლისის ვედომოსტები“. №24. 1829.

ქართველური მემკვიდრეობა 2018: ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“. XXII, ქუთაისი, 2018.

ქართული ლიტერატურის ისტორია 1969: ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. III, თბილისი, 1969.

ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის 1954: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია. ტ. I, თბილისი, 1954.

ქართული მწერლობა 1984: ქართული მწერლობა. წიგნი I, თბილისი, 1984.

ცისკარი 1852: ჟურნალი „ცისკარი“. №4, 1852.

ცისკარი 1857ა: ჟურნალი „ცისკარი“. №5, 1857.

ცისკარი 1857ბ: ჟურნალი „ცისკარი“. №6, 1857.

ცისკარი 1857გ: ჟურნალი „ცისკარი“. №7, 1857.

ცისკარი 1859: ჟურნალი „ცისკარი“. №1, 1859.

ცისკარი 1861: ჟურნალი „ცისკარი“. №3. 1861.

ცისკარი 1864ა: ჟურნალი „ცისკარი“. №5. 1864.

ცისკარი 1864ბ: ჟურნალი „ცისკარი“. №6. 1864.

ცისკარი 1864გ: ჟურნალი „ცისკარი“. №11. 1864.

ცისკარი 1873ა: ჟურნალი „ცისკარი“. №7-8. 1873.

ცისკარი 1873ბ: ჟურნალი „ცისკარი“. №9. 1873.

ჭიჭინაძე 1885: ჭიჭინაძე ზ., ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბილისი, 1885.

ჯავახიშვილი 1938: ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1938.

ჯოლოგუა 2011: ჯოლოგუა თ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, XIX საუკუნე. ნაკვეთი I, თბილისი, 2011.

АКАК 1881: Дело о грузинскомъ заговоре (Тоже, гр. Чернышева къ барону Розену, отъ 29-го декабря 1832 года, #585), Акты собранные кавказскою археографическою коммиссиею, Томъ VIII, Тифлисъ, 1881.

Мგებრიშვილი 2015: Мгებრიშვილი А., О некоторых значительных вопросах русско-грузинских литературно-культурных взаимоотношений (XIX век. Период наместничества М. С. Воронцова), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2015.